

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება

09. 08. 2013 წელი

98/2

----- ქ. თბილისი № -----

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის პასუხისმგებელი
მდივნის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს № 03/34 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 და 33-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დრამის, კინო - ტელე, ქართული ხალხური სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების და ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტებზე 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პასუხისმგებელ მდივნად **მარინა ქადაგიშვილი**.

კონკურსის პასუხისმგებელ მდივნს მარინა ქადაგიშვილს დაევალოს:

ა. დამტკიცებული საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტაციის მიღება აწარმოოს სპეციალურად დანომრილ, ზონარგაყრილ ჟურნალში, რომლის ყველა გვერდი ხელმოწერილია და დამოწმებულია უნივერსიტეტის ბეჭდით.

ბ. კანდიდატთან ერთად მოახდინოს წარმოდგენილი საბუთების ნუსხის შედგენა და მასზე ხელწერილის გაცემა.

გ. შეასრულოს ბრძანებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაო.

საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 10 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 19. ტელეფონი: 2 99 03 36;

ყოველ დღე /დასვენებისა და უქმე დღეების გარდა/ 12⁰⁰საათიდან 16⁰⁰საათამდე
კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არა უგვიანეს 16 სექტემბრისა

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს /ი.
თევდორაძეს/.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კლლეგიაში, შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6.

საფუძველი: 2013 წლის 05 ივლისის აკადემიური საბჭოს
სხდომის /№ 18/ დადგენილება

რექტორის მოვალეობის

შემსრულებელი

გიორგი მარგველაშვილი